

899.962.1-32

თხზულებანი

# ილია


გ. 18. 9



402

II

ვ 0 3 6 6 0 3 0 8 0



ტფილისი

სტამბა ჭიგნ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა

1892

Дозволено цензурою. Тифлісъ, 5 Марта 1892 года.

Типографія Грузинскаго Издательского Товарищества,  
Лорисъ-Меликовская улица, домъ Мдивані № 28.

მგზავრის წერილები

ილის ექვსი საათი შესრულდა თუ არა, იმ სა-  
სტუმროს კარების წინ, რომელშიაც მე წინა-  
ლამეს ჩამოვხტი, რუსის პირ-დაუბანელმა და  
დაუკარცხნელმა „იამშჩიკმა“ ფოშტის პოვოსკა მოა-  
ყენა. ეს იყო ვლადიკავკასში. საკურიველია! რუსის  
მხატვრების სურათებზედ რა ლამაზად არის ხოლმე  
გამოყვანილი ამ სქელ-კისერა „იამშჩიკის“ ბრიყე  
სახე, იმისი მიღუნ-მოღუნებული ზლაზენა და უადა-  
მიანო და პირუტყვული მიხერა-მოხერა. რამოდენა-  
დაც სურათია კარგი, ორი იმოდენად ნამდვილი  
საძველია. მაგრამ ამბობენ: И дымъ отечества намъ  
сладокъ и приятенъ. კვამლის სიტკბოებისა კი რა მო-  
გახსენოთ და სიამოენებისას კი ამას გეტუვით, რომ  
კვამლი ფრიად სასიამოენოა, ნამეტნაეად მაშინ, რო-  
ცა თვალებიდამ ურემლებს გვაყრევინებს ხოლმე.

როცა ავიბარგე, ესე იგი, ჩემი ერთად-ერთი ბოხ-  
ჩის ოდენა ცალ-თვალა ტყავის სურჯინი ჩავავდე პო-  
ეოსკაში, მივუბრუნდი ჩემს ახლად გაცნობილს ფრან-  
სიელს გამოსასალმებლად.

— ეს ეტლი ვისი მოგრონილია? მკითხა მან და მიმი-შეირა ხელი ფოშტის პოეოსკაზედ, რომელზედაც ჯერ არ გამოფუნიზლებული „იაშშჩიკი“ უგვიშურად სთვლებდა.

— რუსისა, ეუპასუხე მე.

— მეონი, არა ხალხი მაგაში არ შეეცილოს. მებრალებით მე თქვენ, რომ იძულებულ ხართ მა-გას გაალაყებინოთ თქვენი ტეინი და გაადღვებინოთ თქვენი გულ-მუცელი.

— რა ვწნათ? თუ მთელი რუსეთი მაგით დადის, მე რალა დამიშაედება?

— იმიტომაც შორს არ არის წასული!... ღმერთ-მა მშეიდობის მგზავრობა მოგცეთ. მე კი, სწორედ გითხრათ, თავს ვერ გამოეიმეტებდი, რომ მაგაში ჩაემჯდარიყავ. მშეიდობით. თუ შევხედეთ ერთმანეთს კიდევ როდისმე, გთხოვთ მიცნობდეთ.

ამ სიტყვაზედ მომაწოდა ხელი გამოსასალმებ-ლად და ისე მჭიდროდ მომიჭირა ხელი, როგორც მარტო ევროპიელმა იცის ხოლმე.

პოეოსკაში ჩაეჯექ.

„იაშშჩიკა“ ერთი შემომიბლეირა, მერე აკრიბა საღავეები, „მწუო, მწუო“, დაუწრუწუნა მჭლე ცხე-ნებს და მოუღერა შოლტი. მჭლე ცხენებმა ყურიც არ შეიძერტყეს. ჟყ, ყო-ი-ორხ, თროაშ შთო შა! დაუ-ყირა ცხენებს, აიქნივა საღავენი და ფეხებით ტყა-პუნი დაიწყო. შენც არ მომიკვდე, ცხენებმა ფეხი არ შესძრეს. ამ ყოფას ის ჩემი ნაცნობი ფრანსიელი

ფანჯრიდამ უყურებდა და სიცილითა სკდებოდა. რა უხაროდა იმ სულელს?

— 'მთელი რუსეთი მაგით დადის განა? ხა, ხა, ხა, ხითხითებდა იგი: მაგითი დადის? ვიღა დაწერება!

თუმცა მე სამხიარულო არა მჭირდა-რა, მაგრამ მეც გამეცინა. იაშჩიკმა თავისი ძროხის თვალები ჩემკენ მწყრალად მოაბრუნა და პირუტყვულად ბლვე-რა დამიწყო. მერე ისევ ცხენებისაკენ მიიღრიხა სქე-ლი კისერი და ორიოდე შოლტი გადუჭირა. ცხე-ნებმა, შეიტყეს რა რომ მეტი გზა არ არის, უკველს დაკურაზედ ტყუპ-ტყუპი ტლინკები ჰყარეს, დაიძრნენ როგორც იყო აღგილიდამ და ძუნძულით გასწიეს. დანერლეულმა ზარმა დაიწყო თავისი უგემური ფლარა-ელური, პოვოსკამ ქვებზედ ხტომა და მე ლაყლაყი ხან აქედ და ხან იქით.

## II

 მ ყოფით განეშორდი ვლადიკავკასს და პირი ჩემის ქვეყნისაკენ ვქვენი. თერგის ხიდი ისე გამოეიარე, რომ, არამც თუ წყალი დამელიოს, თვალიც არ ამიხილებია. მეშინოდა, რომ თერგ-და-ლეულობა არ დამწამონ-მეთქი. თერგ-დალეულები ჩემს ქართველს კაცს როგორლაც არ ეჭაშნიკება და არ მოსწონს. ამაზედ ფრიად საფუძვლიანი საბუთი

აქეთ: პირველი, იმიტომ არ მოსწონთ, რომ თერგ-დალეულები მართლა და თერგ-დალეულები არიან, მეორე, იმიტომ.... იმიტომ, რომ მეორედაც თერგ-დალეულები არიან, მესამე იმიტომ.... იმიტომ.... იმიტომ, რომ მესამედაც თერგ-დალეულები არიან. მოდი და ამისთანა ჭკვიანური საბუთი საბუთით და-ურდევი ჩენს დარღვეულს ქართველობას.

ეგ დასაღუპავი თერგი! რა ორპირი ყოფილა! დახე, როგორ მოშკედარა. რაკი ზურგი ჩენ კენ უქნია და პირი რუსეთისაკენ, რაკი გაუმინდერებია და გა-უეანია, როგორდაც ის დევ-გმირული ხმა ჩასწყვე-ტია. ჩენი დამთხვეული თერგი ვლადიკავკასთან ის არის, რომელზედაც ჩენს პოეტს უთქვაშ:

„თერგი ჰრბის, თერგი ჰლრიალებს,  
კლდენი ბანს ეუბნებიან“...

იქ ისე დამდოვრებულა, ისე მიმკედარა, თითქო ან როზგ ქვეშ არის გატარებულიო, ან ლიდი ჩინი მიუღიაო. მაგრამ იქნება თერგი იქ ეგრე იმიტომ მიჩურბებულა, რომ მობანე კლდენი გვერდთ არ ახ-ლავს, ის კლდენი, რომლის:

„კლდოეანთა გულთა ღრუბელნი  
შავადა ზედ დასწოლიან  
და მრისხანებით ქვეყანას  
წარლენითა ემუქრებიან“.

მაგრამ მაინც და მაინც, ვაი შენ, ჩემო თერგო! შენ, ჩემო ძმობილო, ზოგიერთ კაცსავით, საცა მი-

სულხარ, იქაური ქუდიც დაგიხურავს. ცოდვა აჩ არის, შენი ჭექა-ჭუხილი, შენი ზარიანი ხმაურობა, შენი შფოთვა და ფოთვა, შენი გაუთავებელი ბრძოლა ქვა-კლდე-ღრესთან, თითქო შენი განერი წადილი შენს ვიწრო საწოლში ვერ მოთავსებულაო. ბევრი რამ საგულისყუროა შენში. ჩვენო დაუმონაო თერგო, შენს ძლევა-მოსილს და შეუპოვარს დენაშია. აქ კი მიმრჩეალხარ დამარტებულ და ნათრევ ლომსავითა. ცოდვა ხარ და ცოდვას შერები!...

„ჰე, სოფელო, რაშიგან ხარ,  
რას გვაბრუნებ, რა ზე გჭირსა?“

შუა დღე იყო, რომ ლარსის სტანციაში მოვე-დი. ლარსამდი ჩემმა გულმა ვერაფერი განსაკუთრებითი სიამოვნება ვერა მიიღო-რა, გარდა იმისა, რომ რამოდენადაც ჩემს სამშობლოს ქვეყანას ვუახლოვ-დებოდი, იმოდენად გარემო ბუნებას ჩემის ქვეყნის ფერზ ემატებოდა და თერგს შფოთვა და ლელვა.

შევედი სტანციის ცარიელს ოთახში, ჩაის დალევა მინდოდა და ამის გამო სამოვარის დადგმა შევუკვეთე ერთს ფეხ-მოტეხილს სალდათსა, რომელიც ბოლოს სტანციის გუშაგად ვამოდვა. მინაშ სამოვარს შემოიტანდნენ, მივწექ გაფიცრულ ტახტზედ და თავი ფიქრებს მივეცი.

ოთხი წელიწადი იყო, რაც მე რუსეთში ვიმყოფებოდი და ჩემი ქვეყანა არ მენახა. ოთხი წელიწადი!... იცი, მკითხველო, ეს ოთხი წელიწადი რა ოთხი წელი-

წადია! პირველი რომ მთელი საუკუნეა მისთვის, ეინც  
თავის ქვეყანას მოშორებია. მეორე, ეგ ოთხი წელი-  
წადი ცხოვრების საძირკველია, ცხოვრების წყაროს  
სათავეა, ბეწვის ხიდია, სიბნელისა და სინათლის შეუ-  
ბელისაგან გადებული. მაგრამ ყველასთვის კი არა.  
მარტო იმათთვის, ეინც რუსეთში წასულა, რათა  
ჭიუა ავარჯიშოს, ტვინსა და გულს მოძრაობა მი-  
სცეს,—ფეხი აადგმევინოს. ეს ის ოთხი წელიწადია,  
რომელიც ჭაბუკის ტვინში და ვულში გამოჰყენდას  
ხოლმე ცხოვრების კვირტა. ეს კვირტი კიდევ ის  
კვირტია, რომელიდამაც მშენებერი და ბრწყინვალე  
მტევანიც გამოვა და ძალლ-ყურძენაცა. ოო, ძვირ-  
ფასო ოთხო წელიწადო! ნეტავი იმას, ეისაც შენ-  
გან გადებული ბეწვის ხიდი ფეხთა ქვეშ არ ჩასტყდო-  
მია, ნეტავი იმას, ეინც შენ რიგიანად მოგიხმარა.

### III

 ა კი ვლადიკავკასიდამ გამოვედი და ჩემის ქვე-  
ყნის სიომ დამკრა, გულმა სხეა რიგად დამი-  
წყო ფეთქა. პოეოსკაში უკეთესთა ფიქრთა  
ქვებზედ ხათქა-ხუთქი დამიბნევდა ხოლმე. ახლა კი,  
როცა სტანციის ოთახის ტახტზედ მამა-პაპურად გვეი-  
შოტე, ღვთის წყალობა შენა გქონდეს, რომ მე ფიქრს  
მივეცი სრული ჩემი ვულის-ყური და ყურადღება.

ჯგუფად მომიგროედა, რაც კი დამეტოვა ჩემს შშეენიერს პატარძალსაცით მორთულს ქვეყნაში, რაც კი მენახა, მეტადნა და მეტო. მრავალნაირი ფიქრები ერთად, რეულად გონების თვალ-წინ წარმომიდგნენ, მაგრამ ელვის უმაღლეს ერთი ფიქრი მეორეზედ ჰქოცელებოდა, ასე რომ ჩემი გონების თვალი ერთ და იგივე საგანზედ ერთს წუთსაც ვერ გავაჩერე — ერთის სიტყვით, ჩემს ტეინში სრული რევოლიუცია მოხდა: ძირს მიღავებულნი ფიქრები მაღლა მოექცნენ, მაღლა დალაგებულნი ძირსა და მერე აირივნენ ერთმანეთში.

ამ ყოფაში ვიყავ. ბოლოს, ჩემთა ფიქრთა ყოველმა თვითვეულად თავისი შესაფერი ადგილი დაიჭირა ჩემს გონებაში. მათ შორის ერთი უფრო ბრწყინვალედ გამომეხატა, იმ ერთს მოჰყვა მეორე, მეორეს მესამე, ასე რომ ბოლოს ერთ განუწყვეტელ გრეხილად შემექმნენ. როგორ შევეყრები მე ჩემს ქვეყანას და როგორ შემეყრება იგი მე, ვითიქრე. რას ვეტყვი მე ჩემს ქვეყანას ახალს და რას მეტყვის იგი მე? ვინ იცის: იქნება მე ჩემთა ქვეყანაშ ზურგი შემომაქციოს, როგორც სხვა ნიადაგზედ გადარგულსა და აღზრდილსა? იქნება მიითეოსოს კიდევა, რადგანაც ჩემში მაინც და მაინც ჩემის ქვეყნის დერიტა დადებული. მაგრამ მაშინ რა ვქმნა, რომ ჩემთა ქვეყანაშ მამიყოლოს და მიაშბობს თავისი ამბავი და მე კი, მის ენას გადაჩევეულმა, ვერ გავიგო მისი ენა, მისი სიტყვა? იქნება მიმილოს კიდეც და, როგორც თავისი შეილი, გულზედაც მიმიკრას და ხარბად დამიგდოს ყური, მაგრამ მე

შევიძლებ კი, რომ მას ღვეიძლი სიტყვა ვუთხრა  
და იმ სიტყვით უნუგეშოს ნუგეში მოვფინო, მტი-  
რალს ცრემლი მოვწმინდო, მუშაკს შრომა გავუ-  
ადეილო და ის თეითოვეული ნაპერწკალი, რომელიც  
არ შეიძლება რომ ყოველს კაცში არა ჟოლავდეს,  
ერთად შევიგროვო? შევიძლებ კი? შევიძლებ გასა-  
გონის სიტყის თქმასა? გადავწყვიტე, რომ ჩემი ქვე-  
ყანა მიმიღებს და მიმითვისებს კიდეც, იმიტომ რომ  
იმისი სისხლი და ხორცი ეარ; იმის სიტყვასაც და  
ენასაც გავიგზებ, იმიტომ რომ მამულს შეილი ყურს  
უგდებს განა მარტო ყურითა, გულითაცა, რომლი-  
სათვისაც დუმილიც გასაგონია; ჩემს სიტყვასაც გავა-  
გებინებ, იმიტომ რომ შეილის სიტყვა — მშობელს ყო-  
ველთვის ესმის. მაგრამ ამას სულ სიტყვაზედ ეღლაპა-  
რაკობ, საქმე კი საქმეშია. შენმა ქვეყანამ საქმე რომ  
მოგთხოვოს, მაშინ რასა იქ? ვკითხე მე ჩემს თავს  
და გავჩერდი კიდეც. ვიგრძენ, რომ ამ კითხვამ შეს-  
წყვიტა ის ზემოხსნებული ჩემი ფიქრების ფერადი  
გრეხილი.

— მართლა და რა უნდა ვქნა, ვკითხე ჩემს  
თავს ხმა-მალლივ.

— ჩაი უნდა მიირთოვო, მიპასუხა სტანციის  
გუშაგმა, რომელმაც ამ დროს შემოიტანა სამოვარი  
და ჩემს ტახტზედ დადგა.

— ჩაი!...

— სამოვარი იმისთვის არ მიბანეთ, მიპასუხა  
სულელმა გუშაგმა და გაეიდა ჭარედ. არ გასულა

ამის შემდეგ რამდენიმე წუთი, რომ კარი ისევ გაილო და ერთმა აფიცერმა შემოჰყო თავი. იმისი სახის მეტყველება ამჯღავნებდა, რომ დეინოსა და არაყს ძალიან დაახლოებით იცნობდა. ზედ ეტყობოდა, რომ მგზავრი არ იყო.

— ნება მომეცით, მითხრა მან, გაგაცნოთ ჩემი თავი: მე გახლავართ პალარუჩიკი, აქ ლარს-ში ვდგევარ, როტა მაბარია!

— ძალიან მოხარული ვარ, ეუპასუხე მე, წამოუდეგ უეხვედ და ჩამოვართვი გამოწვდილი ხელი.

— საიდამ მობძანდებით?

— პეტერბურგიდამ.

— ფრიად სასიამოვნოა. ამ უდაბურსა და ვერანა ადგილას ერთი ევ სიამოვნება-და მაქეს, რომ შევხვდები ხოლმე მგზავრს განათლებულის ქვეყნიდამ. კაცი, რომელიც გონებითა სცხოვრობს, მოვალეა ლეთისა და ქვეყნის წინაშე შეხედეს განათლებულს კაცს საბასოდ გონების გასაფიზლებლად. დიდად მოხარული ვარ. ბაასი ჭკეის საზღოა.

მითხრა ესა და კიდევ გამომიწოდა ხელი, შეცხლმეორედ ხელი ჩამოვართვი.

— ოქვენ ეინა ბძანდებით, მკითხა მან.

— მე გახლავართ ერთი სომხის სოედაგრის დახლდარი.

— დახლდარიო!.. სთქვა და ტუჩები აიპრუწა.

— დიალ, ბატონ!

ჩემმა ახალმა ნაცნობმა, რომ ეს გაიგონა,

მყისეე დიდეაცური სანახაობა მიიღო: მხრები მო-  
იშარჯვა, ის პირველად მომარჯვებული ლაპარაკი  
სხეა ჰანგზედ შესცალა.

— საიდამ მოდიხა-ა-ართ!... მკითხა გაკეირვებით  
და დაცინებითაცა.

— პეტერბურგიდამ.

— ჰმ, ჩაიცინა აფიცერმა: პეტერბურგიდამ. კარ-  
გია გლირსებიათ პეტერბურგის ნახეა. პეტერბურგი!...  
ძალიან კარგი ქალაქია,—სთევა ესა და არხეინად  
ჩამოჯდა სკამზედ: პეტერბურგი!... ო, ო, დიდი ქალა-  
ქია. პეტერბურგი!... ურცელი ქალაქია!... არა ჰგავს  
თქვენ წიტიან ქალაქსა. აბა რა ქალაქია თქვენი  
ქალაქი? ერთი თაეიდავ რომ გადააფურთხო, ფურ-  
თხი ქალაქის ბოლოს დაეცემა. პეტერბურგი კი....  
ხომ გინახაეთ პეტერბურგი? რუსეთის გულია. მართა-  
ლია, აქამდისინ მთელი რუსეთი ჰყიქრობდა, რომ  
მისი გული მოსკოვია, მაგრამ მთელს რუსეთს მე  
განვუფანტე ეგ ცრუ და უგუნური აზრი: მე მწერა-  
ლი გახლავართ. გთხოვთ, რომ მიცნობდეთ. ეგრე  
კი ნუ მიყურებთ. მე დავამტკიცე, რომ პეტერბურ-  
გია მთელის რუსეთის გული. იზლერის ბალი ხომ  
გინახაეთ?

დაფუვდევი ყური ამ აფიცერს და გულში კი  
უფიქრობდი, ხომ არ გაგიცემულა-მეთქი, მაგრამ გარ-  
და ამგადარეულის ლაპარაკისა არა შეეატყვე-რა.

— არა, იზლერის ბალი გინახაეთ, თუ არა?  
მკითხა კიდევ იმან.

— პეტერბურგის გულობა რით დაამტკიცეთ?  
ვკითხე მე და არ მივეცი პასუხი მის უკანასწელს  
კითხვაზედ.

— არა, ჯერ მე მითხარით: იზლერის ბალი  
გინახავთ, თუ არა? თქვენ, აქაურები, სამეცნიერო.  
ლაპარაკს ჩვეულნი არა ხართ, ამიტომაც ერთის საგ-  
ნიდამ მეორეზედ გადახტებით ხოლმე. თქვენ ზედ-  
მიყოლებითი, რიგიანი სჯა არ იცით. ეგ, რასკვირ-  
ველია, გაუნათლებლობისაგან მოგდით, მკონი, თქვენ  
არც კი იცით — რა არის ცივილიზაცია, ასოციაცია,  
არლუმენტაცია, ინტელიგენცია, კასსაცია და ფილო-  
ლოლია. მაგრამ ეგ არაფერი, წარმავალია. თქვენც  
გაიწურთნებით. მადლობა ღმერთს, აფიცირობა და  
ჩინონენიკობა ბევრი მოდის ჩუსეთიდამ თქვენს გასა-  
ნათლებლად. არა, ჯერ მითხარით, იზლერის ბალი  
გინახავთ, თუ არა? თუ ეგ არ გინახავთ, პეტერბურ-  
გიც არ გინახავთ.

— მინახავს.

— გინახავთ? მაში თქვენ განათლებულებში ფე-  
ხი ჩაგიდგამთ. ფრიად მოხარული ვარ, ფრიად მო-  
ხარული ვარ. იზლერის ბალი? როგორი ბალია, ჰა?  
ფერიებით საესე სამოთხე ის არის, აი! ფერიები,  
ხომ იცით, რა არის? ეგ სამეცნიერო სიტყვაა, იქმნე-  
ბა არ იცოდეთ. ეგ მდაბიურად რომ ვთარგმნოთ,  
იმასა ჰნიშნავს, რომ ის ბალი საესეა ქურუნა თვალე-  
ბიან ქალებითა. გინდა ერთს ჩაალე ხელი, გინდა  
მეორეს. აი განათლებას რა შეუძლიან. თქვენი ქა-

ლები კი კაცს დაინახავენ თუ არა, იმალებიან. არა, პეტერბურგი.... დიდი ქალაქია, ფრიად განათლებული, და იზლერის ბალი განათლების გეირგეინია, ასეთი ბალია, რომ „მწუ“.

ამ სიტყვებზედ მეცნიერმა აფიცერმა თითებზედ იკოცა.

— მე იმედი მაქს, რომ ეს სამოეარი ამ სტოლზედ თქვენთვის სდგას.

— თქვენმა იმედმა არ მოგატყუათ თქვენ.

— მე იმედი მაქს, რომ თქვენ, როგორც განათლებულის ქვეყნიდამ მოსული კაცი, მეც მითავაზებთ ჩაისა?

— არც მაგ იმედს გაგიმტყუნებთ.

— რომიც, რასაკეირეველია, გვექნება?

— მაგაზედ კი უკაცრავოდ.

— ეგ ვერაფერი ნიშანია. თქვენ სომეხი ხართ, თუ ქართველი?

— ქართველი.

— ძალიან მიამა, რომ ქართველი ხართ. თუმცა ჩეენი ლერმონტოვი კი ამბობს, რომ ნჭავაშ რინკიე რყვაშა, მაგრამ მაინც ქართველები სჯობია იმ პოეტება. პაპიროზები კი, რასაკეირეველია, გვექნებათ.

— გახლავთ.

— იმედი მაქს რომ მითავაზებთ.

— დიდის სიამოენებით. ინებეთ.

— აბა, მაშ თქვენ ჩაი დაასხით და მერე მოვ-ცვეთ სამეცნიერო ლაპარაკსა. თუმცა თქვენთვის

ძნელი იქმნება სამეცნიერო ლაპარაკის გავება, მაგრამ მე შიგა-და-შიგ სამეცნიერო სიტყვებს მდაბიუ-რად გითარგმნით და ამ ჩიგად სამეცნიერო ლაპარაკის გავებას გაგიაღეთ.

მე ჩაი დაეისხი და ერთი ჭიქა იმას დაუუდგი. ჩაი რომ მოსეა, გამოაბოლა პაპიროსი და მოჰყეა ლაპარაკსა.

— თქვენი ქვეყანა, მეცნიერის ენით რომ ვთქვა, განათლებული არ არის, ესე იგი, მდაბიურის ენით რომ ვთქვა, გაუნათლებელია, ხომ გესმით?

— ძალიან კარგად.

— აკი მოგახსენეთ, გაგიაღეთ და მეთქი სამეცნიერო სიტყვის გავებასა. ახლა დაეიწყო იქიდამ, რომ თქვენი ქვეყანა განათლებული არ არის, ესე იგი, გაუნათლებელია. ეს ჩაი მოსკოვისა უნდა იყოს?

— არა, სტაციონალში ვიყიდე.

— სულ ერთია. ახლა დაეიწყოთ, როგორც წელანა ვთქვით, იქიდამ, რომ თქვენი ქვეყანა განათლებული არ არის, ეგ იმასა ჰნიშნავს, რომ თქვენი ქვეყანა ბნელია. ხომ გესმით?

— დიალ, კარგად.

— ახლა რაკი იქიდამ დაეიწყეთ, რომ თქვენი ქვეყანა განათლებული არ არის, ისიც უნდა ვთქვათ, რომ განათლება არ არის. მე ამას მაგალითებით აგიხსნით: წარმოიდგინეთ ბნელი ოთახი, წარმოიდგინეთ, თუ არა?

— წარმოიდგინე.

— არა, იქნება საღმე ერთი ფანჯარა ლია და-  
გრჩათ, ისიც დაკეტეთ.

— დავკეტე, ვუპასუხე კი და სიცილი მომივიღა.

— ძალიან კარგი. რაკი ის ფანჯარაც დაკეტეთ,  
ფარდაც ჩამოაფარეთ.

— ჩამოვაფარე.

— რაკი ფარდაც ჩამოაფარეთ, ოთახიც დაბნელ-  
დება, ველარაფერს დაინახავთ. უეცრად შემოიტანეს  
სანთელი, განათლა ოთახი. განათლებაც ევ არის. სწო-  
რედ მოგახსენოთ, არც ეს პაპიროზია ურიგო. პე-  
ტერბურგიდამ იქნება?

— არა, ვლადიკავკაშში ვიყიდე.

— სულ ერთია.

— ახლა ხომ გესმით განათლების მნიშვნელობა?

— ძალიან კარგად.

— ახლა, რადგანაც აგიხსენით განათლების მნი-  
შვნელობა, თქვენ უნდა ერთი რამა გკითხოთ: თქვენ-  
ში ცივილიზაცია როგორ მიდის?

— მაგისას ვერას მოგახსენებთ: დიდი ხანია ჩემს  
ქვეყანაში არა ვყოფილებარ.

— ევ არაფერი, მე ეხლავ შევიტყობ, როგორ  
მიდის: გენერლები გეყოლებათ თქვენ, ქართველებს?

— იქნება ერთი ოციოდე მოგროვდეს.

— რაო, ოციოდეო!... ო, ო, ევ დიდი საქმეა,  
წარმოსთქეა დიდის ყოფით ჩენებმა მეცნიერმა აფიცერ-  
მა: ოციოდეო!... ამ ერთ მუჭა ხალხში და ოცი გენე-  
რალი!... ევ, ბატონო, დიდი ცივილიზაცია გქონიათ.  
ვერ უყურებთ, ოციოდე გენერალი! არა მჯერა. იქნება

თქვენ, მეცნიერების ენით რომ ვთქვათ, დეისტეიტელნი სტაციის სოვეტნიკებსაც მართალ გენერლებშია სთვლით, ესე ივი, მდაბიურის ენით რომ ვთქვა, იქნება შტაციის გენერლებსა,. ანუ, უფრო მდაბიურად რომ ვთქვა, უეპოლეტო გენერლებსა, ანუ, ამაზედ უფრო მდაბიურად რომ ვთქვა, უულვაშო გენერლებსაც მართალს გენერლებში სთვლით? უთუოდ ეგრე იქნება.

— არა, თქვენმა მზემ,— დაუუფიცე მეც: არა, თქვენმა მზემ, სულ მართალს გენერლებს მოგახსენებთ.

— ოციოდ მართალი გენერალი! ბარაქალა მართლ-მაღიდებელ რუსეთს! სახელი და დიდება! საცა ფეხს შესდგამს, დაამყარებს ხოლმე ციეილიზა ციას. სულ რამდენი წელიწადია, რაც რუსეთი აქ შემოვიდა? — იქნება სამოც-და-ათი.

— შეიძს წელიწადში ორი გენერალი? დაუდი საქმეა, დიდი ციეილიზაცია არის. მერე როგორი გენერალი?! მართალი გენერალი! თუ ლეთის ძალით თქვენში ციეილიზაციამ ეგრე იარა, სამოც-და-ჭო წელიწადს უკან კიდევ ოცი გენერალი მოგემატებათ და სულ ორმოცი შეიქმნება. დიდი საქმეა. მე ეგ არ ეიცოდი. ან საიდამ უნდა შემეტყო? სულ არ იქნება სამი წელიწადი, რაც ამ ქვეყანაში გარ. სწორედ მოგახსენოთ, არც მოცლა მქონდა, რომ თქვენის ქვეყნისათვის მეცნიერი თვალი დამეკირვებინა. მე ერთს დიდს საოსტატო საგანს გამოვეკიდე, მრავალი ვიძიე, ისტორიები წაეკითხე და ჩემი დრო სულ ამ

სამეცნიერო საქმეზედ გადავაგე. მაგრამ ცუდად არ წახდა ჩემი ღვაწლი, შთამომავლობა მოიგონებს ჩემს სახელსაცა.

— რა იმოქმედეთ?

— რა ეიმოქმედე! ადეილი სათქმელია. აი ბატონი, რუსეთში მეტატონებს ყმები ჩამოართეს. მეტატონებს ბიჭი ალარ შერჩა. მოჯამავირეს ანაბარას დარჩა. შეწუხდა ქვეყანა, მოჯამავირეებმა დაუწყეს ყველაფერს სახლში პარეა. მე, როგორც გულ-მტკიც-ნეული შეიღი, ჩავუფიქრდი ამ ჩემის ქვეყნის მწუხა-რებას,—ვთქვი: ქვეყანას შეელა უნდა-მეთქი. მა-დლობა ღმერთს, ეუშველე კიდეც. ასეთი რამ მო-ვიგონე, რომ მოჯამავირეს სახლში პარეა ალარ შე-უძლიან. ერთმა უბრალო შემთხვევამ კი მაპოენინა წამალი. ჩემი დენშიჩიკი ფრიად დიდი ქურდი იყო, საშაქრები შაქარს ალარ უშვებდა. ვიფიქრე, ვიფიქრე, როგორ ეუშველო ამ საქმეს-მეთქი. დავიწყე ყუთის დაკეტა, მაგრამ ხან დაკეტა დამავიწყდებოდა ხოლმე და როცა სახლიდამ გავიდოდი, დენშიჩიკი შაქარს მომპარავდა. ბოლოს აეიღე თრი ბუზი დაეიჭირე და ჩაესეი საშაქრები, თავი დაეხურე და არ დავკეტე კი. ახლა მკითხავ — რისთვისაო? იმისთვისა, რომ თუ დენ-შიჩიკი კიდევ შაქრის მოპარეას დაპირებდა, ხომ ყუ-თი უნდა გაეღო. რაკი ყუთს თავს ახდიდა, ბუზები მაშინვე ამოფრინდებოდნენ. მერე, როცა შინ მოეი-დოდი, აეხდიდი ყუთს და შიგ რაკი ბუზებს ალარ ვნახავდი, აშკარა იქნებოდა, რომ ყუთის თავი აუხ-

დია ვისმე. ეინ ახდიდა, თუ არ ჩემი დეწმიკი. რაკი ეს გამოვიგონე მე დეწმიკი შაქარს ველარ შპარაჟს. ეხლა ყუეელ დილას ჩაის გაეათავებ თუ არა, ოთახში ბუზებს ვიჭერ. დაეიჭერ ბუზებს, ჩაესვაშ შაქრის ყუთში და მთელი ღამე არხეინადა ეარ: ვიცი, რომ არაეინ მომპარაჟს. როგორ მოგწონთ ჩემი აზრი! იაფი და ქურდობის წამალია. ეგ წამალი ყველაფერ-ში იხმარება, რასაც კი ჩვენს ოჯახში ყუთში ვინა-ხავთ ხოლმე. ეს აზრი ჯერ არაეისათვის არგამიმქლავნე-ბია, მაგრამ თქვენი ქვეყანა ისე მიყვარს, რომ თქვენ ევ გაცნობეთ და გთხოვთ — თქვენც გაუნათლებელს მება-ტონებს აცნობოთ. ერთი ეს არის, რომ არაყის ქურდო-ბას ჯერ ვერა ეუშველერა. არაყის ბოთლშიაც კი ვუ-დე ბუზების ჩასმა, მაგრამ ეგ წყეულები შიგ ირჩიბიან — თუნა ნე დურა. მაგრამ მაგის წამალსაც მალე მოეიგონებ. არა, როგორ მოგწონთ ჩემი ოსტატობა? ფრანცუცებ-შაციცან ხოლმე მაგისთანა ეშმაკობის მოგონება, მაგ-რამ იმათის მაშინების ყიდვა ძეირია. ეს ჩემი ოსტატობა გროშიც არ დაჯდება. აბა ჩა არის ორის ბუზის დაჭრა და ყუთში ჩასმა? დიდი არაფერი. აბა ეხლა ჰნახეთ, რა შედევი ექნება ამ ჩემ მოგონილ საქმეს: ეს ჩემი ოსტატობა რომ გაერცელდება, მაშინ შეიძლება რომ ბუზების ალებ-მიცემობა დაიწყონ. აი ქვეყანაში ახალი ალებ-მიცემობაც გაჩნ დება: ჩაიელით ერთს მშენიერს დილას თქვენს ქალაქში და დაინახავთ ბუზების მაღა-ზიასა. ცუდია თუ? რამდენი მშეირი კაცი ლუკმას იშოვნის ბუზების მეოხებითა. ეხლა კი ბუზები რანი

არიან? არაფერი. რის გამოსადევნი არიან? არაფრისა. აი მეცნიერის და ჭყაინის კაცის ნამოქმედებსა და ნალვაწლს რა დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნისათვის. მე აქ არ მოედიოდი, თუმცა კი ბევრს მეხევწებოდნენ. ჩემს გულში ვამბობდი: ღმერთს თუ ნიჭი მოუკია რამე ჩემთვის, ისევ ჩემებს გამოვადგე-მეოქი, მაგრამ ამ ახლად დაჭერილ ქვეყნებს უფრო განათლება უნდა-მეოქი; აქ განათლებული კაცები საჭირონი არიან. აბა ცოტა ხანი მოიცადეთ, რა მოხდება. მე ხომ, ზევით რომ ვთქი, ის მოვიგონე, ახლა სხეუ ჩემის-თანა სხვას მოიგონებს, იქნება იმისთანა კაციც გა-მოვიდეს, რომ თქვენს ქალაქშიაც იზლერის ბალი გამართოს: მეცნიერის კაცისათვის ყველაფერი მესაძ-ლოა. ამ ყოფითა მთელის პეტერბურგის განათლება აქ გადმოეა. მაშინ ჰანახეთ, რომ ერთს შშენიერს დღეს სეირნობა გაიმართება იზლერის ბალში, იმ ბალ-ში თქვენი ქალები თამამად სიარულს დაიწყებენ, გინ-და ერთს უთხარ „შენი ჩირიმე“, გინდა მეორეს, ხმასაც არ გაგლემენ. აბა ხალხი მაშინ დაინახავს თავისს სამოთხეს, როგორც მეცნიერნი ბრტყელი, ესე იგი, სამოთხე რომ მდაბიურად ვთქვათ.... მაგრამ რა ვთქვათ, მდაბიურადაც სამოთხე სამოთხეა. ხომ გესმით?

— ძალიან კარგად.

## iv

 მ საღამოს სტეფანწმინდას ამოვედი. შშენიერი საღამო იყო, ასე რომ იმ ღამეს იქ დავრჩი, რათა თვალი გამეღო შშენიერის სანახავების ხილებითა. ოს, საქართველოვ!

„სხვა საქართველო სად არის,  
რომელი კუთხე ქეყნისა?“

ოთახიდამ გარედ გამოვედი და შევხედე სტეფანწმინდის პირდაპირ აყუდებულს მყინვარსა, რომელსაც ყაზიბეგის მთას ეძახიან. დიდებული რამ არის ეგ მყინვარი. აბა მაგას შეუძლიან სთქვას: ცა ქუდალა მაქვს და დედა-მიწა ქალამნადაო. ცისა ლავარდზედ მოჩანდა იგი თეთრად და აუმღვრელად. ერთის მუჭის ოდენი ღრუბელიც არა ჰფარაედა მის მაღალს შუბლსა, მის ყინეით შევერცხლილს თაესა. ერთად-ერთი ეარსკელავი, მეტად ბრწყინვალე ზედ დაპნა-თიდა, ერთს ალაგს გაჩქრებული, თითქო მყინვარის დიდებულს სახეს განუცვიფრებიაო. მყინვარი!... დიდებულია, მყინვრო და მშეიდობიანი, მაგრამ ციერა და თეთრი. დანახვა მისი მაკვირვებს და არ მაღლვებს, მაციებს და არ მათბობს,—ერთის სიტყვით მყინვარია. მყინვარი მთელის თაეის დიდებულებით საკვირველია

და არა შესაყვარებელი. აბა რად მინდა მისი დიდება? ქვეყნის ყაყანი, ქვეყნის ქარიშხალი, ქროლვა, ქვეყნის ავ-კარგი მის მაღალს შუბლზედ ერთ ძარღვსაც არ აატოკებს. ძირი თუმცა დედა მიწაზედ უდგა, თავი კი ცას მიუბჯენია, განზედ გამდგარა, მიუკარებელია. არ მიყვარს არც მაგისთანა სიმაღლე, არც მაგისთანა განზედ გადგომა, არც მაგისთანა მიუკარებლობა. დალოცა ღმერთმა ისე თავზედ ხელ-აღებული, გიჟი, გადარეული, შეუპოვარი და დაუმონავი მღერიე თერგი. შავის კლდის გულიდამ გადმომსკდარი მიღის და მიბლავის და აბლავლებს თავის გარეშემოსა. მიყვარს თერგის ზარიანი ხუილი, გამაღებული ბრძოლა, ფრტვინეა და ვაი-ვაგლახი. თერგი სახეა ადამიანის გალვიდებულის ცხოვრებისა, ამაღლელებელი და ლირს-საცნობი სახეც არის: იმის მღერიე წყალში სჩანს მთელის ქვეყნის უბედურების ნაცარ-ტუტა. მყინვარი კი უკვდავებისა და ვანცხომის დიდებული სახეა: ციერა როგორც უკვდავება და ჩუმია როგორც განცხრომა. არა, მყინვარი არ მიყვარს, მით უფრო, რომ მიუკარებლად მაღალია. ქვეყნიერების ბეღნიერების ქვაკუთხედი კი ყოველთვის ძირიდამ დადებულა, ყოველი შენობა ძირიდამ ამაღლებულა, მაღლიდამ კი შენობა არსად არ დაწყებულა. წამიტომაც მე, როგორც ქვეყნის შეიღს, თერგის სახე უფრო მამწონს და უფრო მიყვარს. არა, მყინვარი არ მიყვარს: მისი სიცივე ჰსუსხავს და სითეთრე აბერებს! მაღალიო! რად მინდა და მისი სიმაღლე, თუ მე იმას ჩერ აღწევდები და

ის მე ვერ ჩამომომწერდება. არა, არ მიყვარს მყინვარი. მყინვარი დიდ გეტეს მაგონებს და თერვი კი მრისხანე და შეუპოვარს ბაირონსა. ნეტავი შენ თერგო! იმი-თი ხარ კარგი, რომ მოუსვენარი ხარ. ] აბა პატარა ხანს დადევ, თუ მყრალ გუბედ არ გარდაიქცე და ევ შენი საშიშარი ხმაურობა ბაყაყების ყიყინზედ არ შევე-უვალოს. მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის, ჩემი თერგო, ქვეყნის ლონისა და სიცოცხლის მიმცემი...

## v

 ამოღამდა. თერგისა და მყინვარის ყურებაში და ზოგიერთ ფიქრების გართვაში დრო ისე გამეპარა, რომ თითქმის ერ შევიტყე — მჩე როგორ გამოესალმა მისგან გამობარ ქვეყნიერებასა და როგორ მიეფარა მთებსა. დაღამდა, თვალ წინ აღარა სჩანს-რა, მისწყდა ხმაურობა ქვეყნისა, ქვეყანა და-ღუმდა.

დაღამდა, მაგრამ არ ეიცი, რას ეიქმოდი, რომ იმედი არა მქონდეს კვლავ გათენებისა. სიცოცხლე სიცოცხლედ და ელირებოდა?... მიყვარს, ბუნებავ, შენი დაწყობილობა, რომლის მეოხებითაც ყოველი ღამე თენდება ხოლმე.

დაღამდა მაგრამ მე მაინც სტანციის გარედა ვარ და დაჭინებით ყურაცხვეტილი გონებას ვაღევნებ

თერგის თაეჭედ-ხელ-აღებულის დენის ხუილსა. ყველა  
დადუმდა და შენ არ სდუმობ, თერგო! მერწმუნეთ,  
მე მესმის ამ ხმა-გაქმენდილს ქვეყანაში თერგის დაუ-  
ჩუმარი ჩივილი. არის ადამიანის ცხოვრებაში იმის-  
თანა წუთნი მარტოობისა, როცა ბუნებას შენ თი-  
თქო შენსას ავებინებ და იგი თავისას შენ გაგები-  
ნებს. ამიტომაც შევიძლიან სთქეა, რომ მარტოობა-  
შიც არსად მარტო არახარ, ჰოი ორ-ფეხო ცხოველო,  
რომელსაც ადამიანს გეძახიან. ამ ლამეს ვგრძნობ,  
რომ ჩემის ფიქრებისა და თერგის ჩივილის შუა არის  
რაღაც იდუმალი კავშირი, არის რაღაც თანხმობა.  
გული მიტოკს და მკლავი მითრთის. რისთვის? დროს  
დაეაცალოთ ამის პასუხის მიცემა.

დალამდა, მისწყდა ადამიანის ფეხის ხმა, მისწყ-  
და ადამიანის მორჭმული ხმაურობა, აღარ ისმის მი-  
სის დაღლილის ზრუნვისა და წადილის გუგუნი, ქვე-  
ყნის ტკიცილმა დაიძინა, ადამიანი აღარა სჩანს ჩემს  
გარეშემო. ვაი რა ცარიელია ეს სავსე ქვეყანა უადა  
მიანოდ!... არა, წარიღეთ ეს! მნელი და შშეიღობია-  
ნი ლამე/თავის ძილითა და სიზმრებითა და მომეცით  
მე ნათელი და მოუსევნარი დღე თავის ტანჯვითა,  
წვალებითა, ბრძოლითა და ვაი-ვაგლახითა!/ჰოი ბნე-  
ლო ლამეე, მეჯავრები შენ მე! შენ რომ არ დაარსე-  
ბულიყავ ქვეყნისათვისა, მე მგონია, რომ ნახევარი უბე-  
დურობაც ადამიანისა ქვეყანაზედ არ იქნებოდა. შენ-  
თა მოვლენათა დასცეს პირველად თაე-ზარი ადამი-  
ნის გონებასა და დააფთხეს იგი. მას აქედ შეშინე-

ბულსა გზა თეისი ეერ უპოენია,—და აპა იბრძვის  
ადამიანი და დღევანდლამდე ათასში ერთსა თავისი  
ერთხელ დაფრთხალი გონება ფრთხოლას ეერ გადუ-  
ჩევენია. აი მიზეზი ქვეყნის უბდურობისა. ჰოი, ბნელო  
ლამევ! მეჯაცრები შენ მე. შენის კალთის ქვეშა, ვინ  
იცის, რამდენი გაბოროტებული მტერი ადამიანისა  
ეხლა თაეს იმალავს? ვინ იცის, ამ ბნელო ფარდის  
ქვეშ, რომელიც ეხლა ჩემს თვალს ჩამოაფარე, რა-  
მდენი მჭედელი და მტარეალი ქვეყნისა სჭედავს  
ბორკილთა ადამიანის პედის შესაჭედად? შენ ხარ ხე-  
ლის შემწყობი იმ ხელობისა, რომელსაც თვალთ-  
მაქუობას ეძახიან და რომელიც ადამიანის დაფრთ-  
ხალ გონებასა უბდედურობას ბეღნიერებად აჩენებს  
ხოლმე; შენ ხარ ეამი და დრო კუდიანების სერობისა,  
საცა ისმის სადღეგრძელო სიბნელისა. ჰოი, ბოროტო,  
წარვედ ჩემგან, დღეო ნათელო, მოვედ შენ!...



**ტანციაში** შევიტყე, რომ მთებში დიდი დაბრ-  
კოლებაა ფოშტით მიმავალისათვის, რაღანაც  
სტანციებში ცხენები ხშირად თურმე აკლდე-  
ბათ. მირჩიეს ფასანაურამდე ცხენი მექირავნა და ცენ-  
და-ცხენ გადაუსულიყავ. მე ეს რჩევა ჭირაში დამიჯდა.

იმ ფიქრით მიეცი თავი ძილს, რომ ხეალე საჯდომის ცხენს ვიქირავებ და ისე გადვიცლი მოებსა.

გათენდა. რა მშენიერი რამა ხარ, დილის რიტ-  
რაფი! რა მშენერი რამა ხარ, დილის ცურით პირ-  
დაბანილო ქვეყანავ! მე მგონია, რომ ამ დილის  
უოველი ტკივილი ქვეყნისა უნდა დაყუჩებულიყოს,  
მაგრამ თერგი მაინც ჰბლავის და იბრძეის. სჩანს ქვე-  
ყნის ტკივილი დაუყუჩავია. — ჭარებულის.

გათენდა და გაიხმაურა ქვეყანაშ ადამიანის ხმი-  
თა. დღემ დაიწყო თავისი დაუდეგარი ფაცა-ფუცი.  
კარგია გაღეიძებული ადამიანი!... მაგრამ უფრო უკე-  
თესია ადამიანი, რომელსაც ძილშიაც არა სძინავს,  
ქვეყნის უბედურობით გულ-აღტყინებულსა. ჩემო ლა-  
მაზო ქვეყანავ, არიან ამისთანანი შენში? მე მოენახავ  
და, თუ ვიპოვე, ვეთაყვანები. ჭარებულის.

გავედი სტანციის გარედ და ერთს მოხევეს შევ-  
ხედი. ვიქირავე მისგან ცხენი იმ პირობითა, რომ თი-  
თონაც ცხენით გამომყოლოდა. ბოლოს არამც თუ  
ვანანე, დიდად კმაყოფილიც დაერჩი, რომ ჩემი საქ-  
მე ეგრე მოეწყო. ჩემი მოხევე ძალიან კაცი გამოდგა.  
იგი იყო ჭალარა-მორეული, ხანში შესული კაცი.  
ბოლოს გამოჩნდა, რომ იგი თვალ-ყურ მაღევარიც  
ყოფილა იმ პატარა ქვეყნისა; რომელიც მის გარე-  
შემო ბედს შემოეხაზა და რომელიცა იმის უფერულის  
ცხოვრების მისაქცევ-მოსაქცევად დაენიშნა.

შეესხედით ცხენებზედ და წამოედით სტეფან-  
წმინდიდამ. უკანასკნელად შეეხედე მყინვარს. იგი

როგორლაც დიდ-კაცურად იბლეირებოდა თავისს სიმაღლიდამ. ამან ამირია იმ დილით დამშეიდებული გონება. გულმა კვლავ ტოკეა დამიწყო და მკლავმა თრთოლა. სრულის მძულეარებით მოეაშორე თვალი მყინვარის დიდებულებასა და უფრო დიდის პატივით გამოეეთხოეე მის ფეხთა ქვეშე გაგიჟებით მავალს თერგსა.

ჩემი მოხევე სანახავად ლირსი იყო. იგი, თითონ ზორბად მოსული, იჯდა ერთს პატარა მთის ცხენზედ, რომელიც თითქმის მთელს გზას მგლურის ძუძულით სასაცილოდ მოძუნძულებდა. ჩემს მოხევეს ჩამოეფხატა ბანჯელიანი ქუდი თვალებზედ და ისე გარინდებული იდეა, განიერ უნაგირზედ გადაბორტებული, ისე არხეინად და გულ-აუმლერელად აყოლებდა თავძს ახოეანს ტანს ცხენის ძუნძულს, ისე-თის დამშეიდებით და განცხრომით აბოლებდა თავის ჩიბუსა, რომ გევონებოდათ — ამისთანა ქეიფში სხვა კაცი ძნელად თუ იქნება დედამიწის ზურგზედაო.

— რა გქვიან, ძმობილო? ვკითხე მე.

— ....ლელო ლუნის მიხმრბენ, მომიგო მან.

— სადაური ხარ?

— სადაუელ? გაიბორნდამ, აქან მთაჩია, თერგ-კიდურზედ.

— ქართველი ხარ, თუ ოსი?

— ოესრ ჩაიდ ვიქნები?! ქართველ ვარნ, მახევე.

— კაი ადგილია ეს თქვენი ადგილი.

— არაა გონჯაი: \*) ჩეენს ბერიარბას შეჰვერობს.  
— ამისთანა წყალი, ამისთანა ჰაერი სწორედ  
ბეღნიერებაა.

— ჰმ! ჩაიცინა მოხევემ.

— რას იცინი?

— საცინალს ვიცინი. ცარისალ სტვამაქი მავნით  
ვერგაძლების.

— აქ ძალიან მოსავალი უნდა იცოდეს?!

— რაიდ არ ეცოდინების? ადგილ არაა გონჯაი,  
პატარ გვაქენ: თეითვაულს კაცს ორ-ორ შაბადის ყანა  
არ ექმნების. ვიწროდ ვარნ.

— ეს დიდი გზა დიდ ხელს მოგცემთ.

— რაი ბედენაა გზაი? იგ მისთვის ვარგობს,  
ვისეუცოვის ნაშერელ-ნამუშერელ გასატან-გასასყიდ აქვნ.

— მაშ ქირაზედ არ დადიხართ?

— რაიდ არ დაედრეართ? დაედრეართ.

— მაშ ქირით ფულს იშოვნით.

— ვშაულაბთ. ჯიბერი არ რჩების: მთის კაცი  
მახევე სეამეხის კერძია. ჭამადი, სმადი არაა სახლი,  
ნაშრევერ დუქანები მიდის.

— მაშ ისევ ბარი სჯობნებია: იქ ხალხი უფრო  
მაძღარია.

— ეინ უწყის? იქართაც საჭირ-ბოროტორა დარ-  
ჩენა. ადგილ ჰქამობს. იქაველ კაცს ფერი არა აქვნ,  
ჯანი არა აქვნ. აქეულ ჯან-მრთელი არა. ცარკვე-

---

\*) გონჯაი—ცუდი.

ლის გამჩენმა განაცხადი: იქნით მაძლრობა, აქნით სიმრთქლე.

— რომელი ქვეყანა სჯობია, მაძლარი თუ მრთელი?

— ორივენ ერთადა. უერთ-ურთოდ ქვეყანაი გონიჯება.

— ორში რომ ერთი ამოგარჩევინონ?

— ორჩიბდა? არჩევანზედ? ამ ღორბლიან კლდეთ ვიჯობდი, ჯან-მრთელია. აღამის ძეი ბალახითაც, გაჭირდის, გაძლიერის, სატკირეარს რაი ეყვის?

ამ ღროს ჩემს მოხევეს უეცრად თოკის უზანგი ჩაუწყდა, თავი ვერ დაიმაგრა და ცხენს გვერდზედ მოექცა. მერე ისევ გასწორდა, ჩამოხტა ცხენიდამ და დაიწყო უზანგის გამართვა.

— საჭირ-ბორბოტორა შეკაზულ ცხენ, — წამოიძახა ლიმით მოხევემ: დაილოც შიშვალ ცხენ: ფეხ-დაწელი და გადაჯდი დი.

მე აღარ მოეუცადე მოხევეს და წინ წავედი.

## VII



რთი მითხარ, თუ ღმერთი გწამს, — ეუთხარი პოხევეს, როცა მე დამეწია: აი სტეფან-წმიდის პირდაპირ რა მონასტერია?

— თერგ-გარმით?

— ღიალ.

— გიწყალრბნოსთ ცოცხალთა, შეეგრძნონოსთ  
მყვალართა, წმიდა სამების სახტარი არნ, უწინდალთ  
განძთა საფარი, ერთა საბჭო.

— როგორ თუ განძთა საფარი, ერთა საბჭო?

— ქართველთა მეფეთა განძი აქვიდ უფარეან  
მტრიანრბას, მცხეთა იდ საუნჯეი საფარად აქ ზიღუ-  
ლა მრავალჯერ.

— საბჭო რალა არის?

— საბჭოა? იქნიდ არნ სქნაკ, სად სამართალი-  
ბჭეთან იბჭორდის. ჩაიც მძიმა საქმე ხევჩი აერჩდის,  
მუნ იბჭობრდნეს..

— ვერ მეტყვეი, როგორ იყო ეგ ბჭობა და რა-  
ზედ უფრო მოხდებოდა ხოლმე?

— ჩაიდ ვერ გერტყვეი? ჩაიც ვუწყი შეგასმენ.  
როდეს პსტყვლის ერობაში დიდ-დერეა, დიდ-საქმე, დიდ-  
არჩევანი, ერობას იქად გამართენ, აარჩინ ბჭედა  
ბრძენ-ბერ-კაცნი, პეიტრობით \*) სახელ-დებულნი,  
დასხმან მათ იმ სენაკი საბჭობად. ჩაიც მერედ სა-  
მების სახელით, ხთასგან მათხაენილ მაღლით იგნ  
ბჭენი სთქმიან, გადასჭრიდრან, არეინ შეშლრან, არ-  
ეინ გადაელრან.

— შენ მოსწრებიხარ მაგისთანა ბჭობას?

— ჩაიდ შაეესწრობი? ადრინდალ თქმულრბას  
გიზრახავნ.

— ეხლა რატომ ალარ არის ეგა?

\*) პეიტრობით—მეტის გონებით სახელ-განთქმულნი.

— აწინა?...

ჩაფიქრდა ჩემი მოხევე და პასუხი კი არ მომცა. ცოტა ხანს შემდეგ თითონ მკითხა მე:

— შენ რაი მილქთის ხარნ?

— ქართველი ვარ, ვანა ვერ შემატყე?

— რაიდ შეგეტყვის? ტალავარ\*) არა გაქვნ ქართველთა: რუსად მორთულხარნ.

— ვანა კაცი ქართველობა მარტო ტანისამოსზედ შეეტყობა?

— თვალთართვის ტყირბად სამჩსელ პრინც.

— ენა და საუბარი?

— ქართველთ ქნად ბევრი საუბრობა: სვამქიც, რევსიც, თათარიც, სხეა მილქთიც.

— ტანისამოსს ქართველისას კი ცოტანი იცმენ?

— ქართველის ტალავარის იქრი\*) სრულად სხვარა. რუსული ქართველ კაც მეუცხოვების.

— ქართველი გულით უნდა ქართველობდეს, თორემ ტანისამოსი რა არის?

— მართალ ხარნ. მაგრამად გული ეინ ჩაიხედნის? გული შიგნიდ არნ, უხედველ, ტალავარ გარედ არნ სახედეველ.

— თუმცა მე რუსული მაცეია, დამიჯერე, რომ გულით ქართველი ვარ.

— იქნების.

არ ვიცი, ჩემმა მოხევემ დამიჯერა, თუ არა. ეს კია, რომ ამის შემდეგ ამისთანა ბაასი გაეაბით.

\*) ტალავარი—ტანის-სამოსი.

\* ) იქრი—შეხედულობა.

— წელანდელ სიტყვაზედ რომ პასუხი არ მომეცი, — დავიწყე კელავ მე: — მე გკითხე, ეხლა რატომ აღარ ბჭობენ-მეთქი სამების სენაკში.

— აწინა?... ერობა სადა არნ? რუსობაჩი ვარნ. აწინა ყეველი გაცურდდის, ყეველი გაცურქმდის. სამების ძირჩი სოფერლ გერგეთ არნ. იქაველ კაცთ მეფეთა შეუთქვეს სახტრის დარაჯობაი. მის სამაგირ მეფეთა თარხნისა მიანიჭის სრულ სრულელს, გუჯარიც მაჟსცის საშერლი-შერლად. ყეაველ ლამ აწინაც გერგეთიდ სამ-სამ კაც დარაჯად იგზავნების. გერგეთელნ აწინაც სახტრის დარაჯობას თავ-დებულობენ, მაგრამად რუსობაჩი თარხნისა გაუცურდდის, მეფეთ გუჯარს რუსობამ ყური არ ათხოების. გერგეთი აწინა სხვა-ვრთა ბეგრობს. კაურქმდის ადრინდალ დაწყობაი, ხთის მათხავნილ მადლიტი ბჭობაიც სამებაჩი გადა-ვარდის.

— მაშ უწინდელი დაწყობა და ლრო უკეთესი იყო?

— რაიდ პრა?

— რით იყო უკეთესი?

— ადრინა პრად თუ კარგად ჩეენ ჩექნი თავნი ჩეენადვე გვეყურდნეს, მით რყეის უკედ. ადრიდა ერი ერობდის, გული გულობდის, ვაჟა ვაჟობდის, ქალა ქალაბდის. ადრიდა?! ერთ-ურთს დაეყურდნით, ერთ-ურთს ეიხევეწებდნით. ადრიდა?! ქვრივ-რბოლთ ვი-ფარევდით, შინ მიწრინელს,\* ) გარედ მაენეს დაეუ-

\* ) მიწრინელ — ეშმაკი.

ლაგმნდით, ხთისა და ბატონის იასაულს მის ყუდ-  
როს არ მიეკრძღვით, ქრთურთს ლალ მტერთან  
ჩაეფარებდნით, დაუწმულ ვიურეებდნით, ატირდო-  
მილს ეიხოიშნდნით და ქსრედ რევის ბრალება კა-  
ცისა, ერთურთობა. აწინა ერობა დაიშალის, მეძავ-  
მრუშრებაი ჩამოეარდნის, ხარბობაი, ანგარი გვერდე-  
ნის, ერთსულობაი დაერდნის, მტრობა-ბძარები  
გახშროდნის. აწინა ქერივ-რბოლ ვინ განიკირთხის,  
ატირდომილ ვინ გააცინის, დაუწმულ ვინ ალადგინის?  
აწინა არა არნ კაცნი და თუ არნ—პირად და გულად  
ჯულურ არნ. ქრი დაერდნილ, გალახულ არნ, ვრდო-  
მილ-კრთობილ. წარხდა ქართველთა სახელი, ქარ-  
თველთა წესთ-წყობაი. აღრიდა ჩევნრება რევის. წარხდა,  
მოძსრნა ქვეყანაი, რარა აწინა ჩევნი დარჩენა? ჭამად-  
სმად სასყიდვალ, ტყეი სასყიდვალ, გზი სასყიდვალ,  
ლორცა-კურთხევაი სასყიდვალ, სამართალ სასყიდვალ,  
რაიდ დარჩების ბეჩენე მახევე?...

— ეხლა რომ მშეიღობიანობა არის.

— რაის ექნევ ცარიალ მშეიღაბას ცარიალ  
სტვამაქით. რაი არნ მშეიღაბა? უხმარ სატევარს ჟანგი  
დაედეის, უსრბოლო წყალჩი ბაყაყნი, ჭია-ჭუაი, ქვე-  
მძრომი გამრავლდის. უდეგარ, უსვენარ თერგჩი კი  
კალმანი რცის? რაი არნ მშეიღაბა უოცხვალ კაცთ-  
თეის? რაი არნ მტერობა თუ ქრი ქრობს? ცარიალ,  
მშეიღაბა მიწაჩიც გვეყრფის.

— მტერი რომ დაგეცემოდათ, ავიკლებდათ და  
ცოლ-შეილს გიწიოკებდათ ხოლმე.

— აწინა მავრლე სეამქსი უფროს გეაწირკებს, უფროსს სახლს გვრკლებს. ადრიდა მტერს მაინც ფარ-ხრმალით შეეთამაშით, ვიგერიქბდით, სეამქს ჩაი კუების, ვერ მოსაგერიქბელ, ვერ შესათამაშებელ? ადრიდა მტკრთან ბრძოლაში, სწორების ჯობინობაში, სახელ ვშარაბდით, სეამქსთან ვაჟაი რაი სახელ ჩამორჩების? ადრიდა, მართალ ხარნ, მტერ რკების, ერთ-გულთა ვაჟათა ჩუქებაც დიდ-რკების: ადგილ-მაშტულ ებრძების, თარხნობა მიეწყვებრდის. აგრძნა თერგ-კიდურზედ ხელთ-უქმნი ციხეი ჩნდების. იგ ციხეთ არ-შისა ციხედა ცნობილ არნ.

— როგორ ხელთ უქმნი?

— ხთით არნ ციხედა, არ შეუვალ, არ შეულეწ.

— მერე რა უნდა გეთქეა?

— იქანიდ ადრიდა კახთ-ლაშქარ მისეერდის. ელაშქრნათ, იგ ციხე ხელთ ეპყროთ. ხევსა შეძრწუნებულს ბატონთან შეელაი ეზრახნა. მან შეველა ვერ მასცის. შაწუხდის უშცელი ერთი. კახთა ვაჟანი ხევისანი მრავალნი მოხრუცნეს, მავრდნენ ციხეში, ალამნი დასცის. ერთი ყაფრლა პერტარ-ბერ-კუცი, მახევე. ქალაი ჰყოლია უთხრვარ, მზედ-უნახველ. მან, მახევე გაისაურნა\*) კახთ-ლაშქრის დათრობად. მაზრდნა ღეინრა, შაგზაენა ციხეში. თვისა ქალსა მზედ-უნახველს, მაღვირდა შეუთქენა, უანდერძნა. კახთა ღეინრის მწყურებლთა, ლამაზ-ქალის მზირალთა, თავი იღრუ-

\*) გაისაურნა—გაისაზრა, მოიფიქრა.

ნეს, სრულ ოთვრნენ ლეინრით. ქალაიმ განახენის ციხის კარნი, მახევეთ ამცნის მოლრანა კახთ-ლაშვი-რის. მრავეს მოხევენი, შავეს უგებრად ციხეჩი, და-სცის კიჯინა, კახნი სრულ მთვრალნი მახრუნის. ხელთ ოგდის მახევეთ კვლავადა ციხე. არავეთ ერას-თავს იგ ამცნეს. მან მასცა წყალრბად იმ ქალის შამას იგ ციხე, გუჯარიც მასცა....

— ევ რა ვაჟ-კაცობა ყოფილა?

— რაიდ არა? ჭკუიანი ვაჟ-კაცობაი ეგებ არნ: სად ლონჯი ვერ ჰლონობს, იქნიდ ხერხს ემუდენის.

— მაგ კახელების ამოხოცეის ამბით რა უნდა გეთქვა?

— აწინა ყაველნი ქართველნ ძმანებზ ვარნ. არ მტრობით ვისაუბრე კახთათვის. იგ უნდა შემესმინა, რომ ადრიდა სამსახურს თაე-ვიღედით, საჩუქრიც, ბოძებაც დიდ-რყეის; სახელით, ვაჟ-კაცობით სარჩო-საბადებელთ მაშრავერ ვიყვენით, კაუი უბრალად არ წახდის. აწინა ტყუიბით, მედავ-მრუშრბით, ფიცა გატეხეით, ერთ-ურთ ლალ-ტით სარჩო-საბადებელ საშრავერ გაგვიჩდნის. “

## VIII

 ართალია თუ არა ჩემი მოხევე, მე მაგის გა-სინჯვაში არ შევალ. ან რა ჩემი საქმეა ეგა? მე გაკვრით, როგორც მვზავრი, ვიხსენიებ მას, რაც მისგან გამიგონია. ჩემი ცდა მარტო იმაშია, რომ

იმის აზრისათვის იმისივე ფერი შემერჩინა და იმის სიტყვისათვის იმისივე კილო. თუ ეს შევასრულე, ჩემი განძრახვაც შემისრულებია.

ჩემმა მოხევემ მე კიდევ ბევრი რამ სხვა მითხრა, მაგრამ ყოველი მისი ნამშობი დასაწერად არ გა- მოდგება შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა..... მე მარტო ამას ვიტყვი, რომ იმან თავისის სიტყვით თავისს გულის ტკიეილს მიმახვდრა.

მიგიხვდი, ჩემო მოხევევ, რა ნესტარითა ხარ ნაჩხელეტი. „ჩენი თავი ჩენადვე გვეყუდნისო“ — სთქვი შენ და მე გავიგონე. მაგრამ გავიგონე თუ არა, რაღაც უეცარმა ტკიეილმა ტვინიდამ გულამდე ჩა- მირბინა, იქ, გულში გაითხარა სამარე და დაიმარხა. როდემდის დამჩჩეს ეგ ტკიეილი გულში, როდემდის? ოხ, როდემდის, როდემდის?... ჩემო საყვარელო მიწა- წყალო, მომეც ამისი პასუხი!...

